ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №169-2012

ქ. თბილისი 12 ივლისი, 2012 წელი

ერთის მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით („შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ – შპს „ბენე"" (მისამართი: პეკინის №3) სახით („მიმწოდებელი") ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს „პოსტერის დაბეჭდვა" – 3 ცალი, ერთეულის ფასი 50 ლარი, საერთო ღირებულებით 150 ლარი (CPV22458000-შეკვეთით ნაბეჭდი მასალა).

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს რ. ჩიქვინიძე (შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი) და ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან გ. პერანიძეს შორის.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

3.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კალენდარული დღე, მისამართზე ქ. თბილისი, კოსტავას 77.

4.2. ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეცვალოს მოსაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

### 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### 9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს - 2012 წლის 30 აგვისტომდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77

საბანკო რეკვიზიტები:
„თი ბი სი ბანკის" ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი: 220101830
ა/ა GE50TB0638634080100045
ს.კ. 211349192

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქეთევან ქოქრაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ბენე"
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის №3,
ტ: 238 25 23

საბანკო რეკვიზიტები:
„ბაზის ბანკი"
ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ა GE69BS0000000031536628
ს.კ. 203850877

დირექტორი
ალექსანდრე კობაიძე